სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის საარჩევნო კომისიის
(რექტორის მ/შ 07.09.2016 ბრძანება №149/01–01)

სხდომის ოქმი №2

14 სექტემბერი, 2016 წ. (18:00 სთ)

დღის წესრიგი

1. <u>სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე 2016 წლის 14 სექტემბრის 18:00 საათამდე შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ</u>

დ. ეგნატაშვილმა კომისიას წარუდგინა 2016 წლის 14 სექტმებრის 18:00 საათამდე მიღებული ორი განცხადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნით. კომისიას უნდა შეემოწმებინა თითოეული განცხადების შესაბამისობა კანონმდებლობასთან, თსუ წესდებასა და აკადემიური საბჭოს დადგენილებებთან. ასევე, მიზანშეწონილი იყო განცხადებების განხილვა მათი კანცელარიული მიღების თანმიმდევრობის დაცვით. კომისიას თითოეული განცხადების საკითხისათვის ცალ–ცალკე უნდა ეყარა კენჭი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

(ა) გ. შარვაშიძე (განცხადება №31460/02, 13.09.2016) – წარმოდგენილია ყველა სავალდებულო დოკუმენტი და თანხმობა ეთქვას განმცხადებელს კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნაზე.
(ბ) ც. ბარამიძე (განცხადება №31953/02, 14.09.2016) – წარმოდგენილია ყველა სავალდებულო დოკუმენტი და თანხმობა ეთქვას განმცხადებელს კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნაზე.

თავმჯდომარე /დ. ეგნატაშვილი/

მდივანი /გ. ხასია/